სამუშია ჯაბა

დაბადების თარიღი და ადგილი:

1971 წლის 15 აგვისტო. ქალაქი თბილისი.

განათლება:

1994 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი. 2000 წელი ლონდონი - EDWARDS LANGUAGE SCHOOL. მონაწილეობა აქვს მიღებული ათობით საერთაშორისო კონფერენციასა და სემინარში.

სამსახურეობრივი საქმიანობა:

1994 წლიდან მუშაობს ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის ჯგუფის ხელმძღვანელი; 2006-2011 ჰუმანიტარული ფაკულტეტის ასისტენტ პროფესორი; 2011-2012 ასოცირებული პროფესორი. 2012 წლიდან დღემდე სრული პროფესორი)

თბილისის საკრებულო: 2010-1014 მოწვევის წევრი (თავმჯდომარის მოადგილე; თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი;) 2014-2017 წწ. მოწვევის წევრი (ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე).

სამეცნიერო ხარისხი, აკადემიური წოდება და გამოქვეყნებული შრომები:

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, აკადემიური დოქტორი.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი.

ჟურნალ "ისტორიანის" მთავარი რედაქტორი.

ქ. ტორუნის (პოლონეთის რესპუბლიკა) აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი (Institutum Orientalium) ჟურნალის - „Studia Orientalne" სამეცნიერო საბჭოს წევრი. ვარშავის უნივერსიტეტის (THE UNIVERSITY OF WARSAW) უმაღლესი ჯილდოს – საუნივერსიტეტო მედლის მფლობელი.

სასკოლო სახელმძღვანელოების და სალექციო კურსების ავტორი.

მონაწილეობა აქვს მიღებული ისეთი გამოცემების მომზადებაში, როგორიცაა: “ქართული დიპლომატიური ლექსიკონი,” “ივანე ჯავახიშვილი- ენციკლოპედიური ლექსიკონი,” “ქართული საისტორიო ენციკლოპედიური ლექსიკონი,” “Православная Энциклопедия” და სხვა. მისი ხელმძღვანელობით განხორციელდა პალიტრა L-ის ერთ-ერთი მასშტაბური პროექტი “საქართველოს ილუსტრირებული ისტორია.” სამეცნიერო ხელმძღვნელია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის - „ტაო-კლარჯეთის ქართული ციხე-სიმაგრეები.“

ავტორია 200 მეტი ნაშრომის, მათ შორის წიგნების: ერთი იდეოლოგიური კამპანიის ისტორიიდან (საბჭოთა კავშირის ტერიტორიული პრეტენზიები თურქეთისადმი 1945-1953 წლებში), თბ. 2003; ბაგრატიონთა სამეფო ოჯახი (XI-XII სს.), გენეალოგიური ნარკვევი, თბ. 2003; მეფეთ მეფე გიორგი II (თანაავტორი რ. მეტრეველი), თბ 2003; არტანუჯის ციხე-ქალაქი, თბ. 2008; საქართველოს დიდი ბრძოლები, თბ. 2009; ასე შენდებოდა თბილისის წმიდა სამების საკათედრო ტაძარი, თბ. 2010; თამარ მეფის საფლავის საიდუმლოება, თბ. 2010; ბაგრატ III, თბ. 2012; Святой Давид Строитель-обьединитель кавказа (თანაავტორი რ. მეტრეველი), თბ. 2015; საქართველოს სამხედრო ისტორია (ნარკვევები) თბ. 2015;

აქტივობები:

2010 წლიდან რადიო გადაცემა - **“ისტორიანი ჯაბა სამუშიასთან ერთად**.” ავტორი და წამყვანი ნაშრომების რედაქტორი. 2008-2009 წლებში მონაწილეობდა სამაუწყებლო კომპანია “პირველი არხის” მიერ მოწყობილ მედია-პროექტში: “საქართველოს დიდი ათეული”. იყო პროექტის მთავარი ექსპერტი. 2007 სატელევიზიო სერიალი “საქართველოს ისტორია”. სცენარის თანაავტორი და ექსპერტი (ტელეკომპანია “მზე”). 2006-2008 სატელევიზიო სერიალი “მხედართმთავარი”. სცენარის თანაავტორი და ექსპერტი (ტელეკომპანია “საქართველო”). 2002-2010 წლებში წმ. სამების საკათედრო ტაძრის მემატიანე.